პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

5 ოქტომბერი სამშაბათი 1971 წელი 2 ფაფ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 229 (15139)

ხუთწლედი — ვადამდე

ოქტომბრის შესახვედრად

დაპირებას ასრულებენ

თბილისი. (საკ. კორ.). № 1 სამკერვალო ფაბრიკის (დირექტორი ნ. გვახარია) მკერავებმა პროდუქციის რეალიზაციის ცხრა თვის გეგმა ვადამდე გაანაღლეს და დავალებას 330 ათასი მანეთით ვადაჭარბებს. გეგმის გადამეტებით მომხმარებელს მიაწოდეს 30 ათასი ცალი კაბა და 10 ათასი ცალი პალტო.

ამ წარმატებაში ღირსეული წვლილი მიუძღვით კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადებს. მათ შორის ერთ-ერთი პირველია ლ. გოზალიშვილის მკერავთა ბრიგადა, ეს შრომითი კოლექტივი პირველი გამოეხმაურა სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მრთველის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატ ვ. არათანაშვილის ინიციატივას — ხუთი დღის დავალება ოთხ დღეში. მკერავებმა დაპირებას არ უღალატეს. ყოველდღიურ დავალებას გადაჭარბებით ასრულებენ, დღეში 230 კაბას კერავენ. გეგმა კი 180 ცალს ითვალისწინებს. ისიც აღსანიშნავია, რომ მათი ნახელავისათვის ჯერ წუნი არავის დაუდვია.

ახალგაზრდების ჩუქილი

თბილისი. (საკ. კორ.). ტყავსაგალანტერიო ფაბრიკაში (დირექტორი ი. ერისთავი, კომკავშირის კომიტეტის მდივანი გ. გიორგობიანი) ძირითადად ახალგაზრდები მუშაობენ. შექმნილია ოთხი კომკავშირული ბრიგადა, რომლებსაც თ. კინფირიშვილი, ჟ. იოსებაშვილი, ნ. ჯაფარიძე და დ. ღლობერიძე ხელმძღვანელობენ.

ხელთათმანების ბრიგადამ სექტემბრის დავალება 24 რიცხვისათვის გაანაღდა. დარჩენილ დღეებში დაზოგილი მასალებით იმუშავა და გამომუშავებული თანხა გადარიცხა საქართველოს კომკავშირის ფონდში. ამ მოწინავე ბრიგადას არც მსუბუქი ჩემოდნების ბრიგადა ჩამორჩა. მუყაითმა ახალგაზრდებმა 800 ცალი ზეცეგმითი ჩემოდანი გამოუშვეს, აგრეთვე ვადამდე შეასრულეს საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი დაკვეთები. თავიანთი შრომითი ნობათები უძღვნა იუბილეს მოსწავლის ჩანთების შემკერავთა ბრიგადამაც — გეგმის გადამეტებით 1.300 ჩანთა გამოუშვა.

საანგარიშო-საარჩევნო კრებები — მაღალ დონეზე!

ვარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში ყოველი კრება პასუხსაგებია და მნიშვნელოვანი. იგი ხომ კომუნისტთა აღზრდის სკოლაა და შეიმუშავებს ღონისძიებებს, რომლებიც მიმართული იქნება ამა თუ იმ უბანზე საქმის მაღალი დონისათვის, კომუნისტთა ინიციატივისა და პასუხისმგებლობის განვითარებისათვის. მაგრამ საანგარიშო-საარჩევნო კრებების მნიშვნელობა მაინც განსაკუთრებულია. აქ როგორც ერთ ფოკუსში, ისე იყრის თავს პირველადი ორგანიზაციების — ჩვენი პარტიის ამ ძირითადი რგოლების — მრავალმხრივი და მრავალფეროვანი მოღვაწეობის ყველა საკითხი. სწორედ აქ, ამ კრებებზე უნდა შეჯამდეს ის მუშაობა, რაც პარტიულმა არჩევითმა ორგანომ გასწია მთელი საანგარიშო პერიოდის მანძილზე. ნათლად, თვალსაჩინოდ გამოიკვეთოს, გამოჩნდეს მიღწეულიც და ნაკლიც, კოლექტიურად შეფასდეს ანგარიული და კოლექტიურადვე შემუშავდეს მომავალი მოღვაწეობის პრაქტიკული გზები, არჩეულ იქნას უფრო ინიციატივიანი, საქმიანი ხელმძღვანელობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებით პარტიული ორგანიზაციების ანგარიშგება-არჩევნები წელს პირველი ოქტომბრიდან პირველ დეკემბრამდე მოიწყობა. რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში უკვე გაიმართა პირველი კრებები. მალე საანგარიშო-საარჩევნო კრებები გაიმართება ყველა პარტიულ ჯგუფში, აგრეთვე საამქრო და პირველადს ორგანიზაციებში, სადაც ირჩევენ ბიუროს, ან მდივანსა და მის მოადგილეს, პარტიის XXIV ყრილობის მიერ სკკპ წესდებაში შეტანილი ცვლილებების თანახმად, იმ პირველადი და მსხვილი საამქრო ორგანიზაციების პარტიული კომიტეტების უფლებამოსილების ვადები, რომლებიც 500-ზე მეტ კომუნისტს აერთიანებენ, განსაზღვრულია ორი-სამი წლით. ამიტომ მათი არჩევნები. როგორც წესი, წელს არ მოიწყობა.

მაშ ასე: მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები. ახლანდელი, ამ მეტად პასუხსაგები კამპანიის მთავარი თავისებურება ის არის, რომ იგი პირველად ეწყობა სკკპ XXIV ყრილობის შემდეგ. ამიტომ ბუნებრივია, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრებები ყველგან უნდა წარიმართოს ყრილობის გადწყვეტილებებზე, ახალი ხუთწლედის ამოცანების განხორციელებისათვის მიელი ძალების მობილიზაციის ნიშნით. და თვითეული პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაც ხომ ახლა სწორედ ეს არის!

თუმცა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან ეს-ეს არის მხოლოდ ნახევარი წელი სრულდება. მაგრამ მისი იდეები, მისი შემოქმედებითი სულისკვეთება ღრმად შეიჭრა საბჭოთა ადამიანების გულსა და გონებაში. პარტიულ ორგანიზაციათა მოღვაწეობას ამჟამად უფრო მეტად ახასიათებს უფდაფესი პასუხისმგებლობა, აქტიური მისწრაფება, შესაძლებლობათა სადი შეფასება პარტიის წინასწარდასახულობათა წარმატებით შესრულებისათვის.

ბევრი, ძალზე ბევრი რამით არის აღსანიშნავი საქართველოს პარტიულ ორგანიზაციათა საქმიანობის განვლილი ეს ერთი წელი, მთელი საანგარიშო პერიოდი. სკკპ XXIV ყრილობისათვის, საბჭოთა საქართველოსა და მისი კომპარტიის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების მჭეხარე დღეებში დაიბადა არაერთი ძვირფასი ინიციატივა და თაოსნობა, არაერთმა პარტიულმა ჯგუფმა თუ პირველადმა ორგანიზაციამ გამოიჩინა თავი როგორც კომუნისტთა საქმიანმა და ინიციატივიანმა კოლექტივმა, შეძენილია ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკმაოდ მდიდარი გამოცდილება.

არანაკლებ ნაყოფიერი იყო ყრილობისშემდგომი ეს თითქმის ნახევარი წელი. ამაზე მეტყველებს სასახარულო წარმატებანი ჩვენი მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. გაიზარდა სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა და ამაღლდა ხარისხი, მწყობრში ჩადგა ახალ-ახალი ობიექტები, შესანიშნავი გამარჯვებები უპატაკეს ქვეყანას გამარჯვ მეჩაიეებმა და მინდვრის მშრომელებმა, წლის ნაადგარის ბარაჯანი რთველი აქვთ ახლა მევენახეებს.. რა თქმა უნდა, კომუნისტთა ყოველ კოლექტივს აქვს თავისი საიქმელი, საჭიროა კიდეც ამაზე ლაპარაკი, თუ რა გზებით, რა ღონისძიებებით არის მიღწეული ესა თუ ის წარმატება, რომ მომავალ მუშაობაშიც გამოიყენონ.

მაგრამ, ამასთანავე, ყოველ კრებაზე, როგორც იტყვიან, „მწვანე ქუჩა“, უნდა დაეთმოს ნაკლოვანებათა გაბედულ, მწვავე, პრინციპულ კრიტიკას — ცუდის გამოსწორებას, ახალ წარმატებათა მოპოვების ამ საჭირო პირობას, ჩვენი საზოგადოების წინსვლის ამ მამოძრავებელ საშუალებას. ნაკლი და გაუკეთებელი, დამახინჯება და დანაშაული, რუტინა და დახავსებულობა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვხვდება ცხოვრების, შრომისა და შემოქმედების ბევრ უბანზე.

ჩვენი პარტია მუდამ არის დაინტერესებული იმით, რომ ხელ უფრო მაღლდებოდეს მისი ძირითადი რგოლების ბრძოლისუნარიანობა. ეს კი თავისით როდი მოდის. კომუნისტთა ყოველ კოლექტივს ძალსა და ენერგიას აძლევს თვითეული წევრის აქტივობა და ინიციატივა, საქმისათვის მათი თავდადება და პასუხისმგებლობა. აი რატომ არის საჭირო და აუცილებელი, რომ პარტიულობა თუ მდგენის მუშაობის ყოველმხრივ განსჯასთან ერთად დიდი უურადღება დავუთმოთ კომუნისტის ქცევის ნორმებს, იმას, თუ კომუნისტები როგორ ასრულებენ სკკპ წესდების მოთხოვნებს.

თვითეული პარტიული ჯგუფი, თვითეული საამქრო თუ პირველადი პარტორგანიზაცია მთელ თავის საქმიანობაში განუხრელად უნდა ხელმძღვანელობდეს პარტიის პროგრამითა და წესდებით. სწორედ ამ ძირითად პარტიულ დოკუმენტებში ნათლად არის მოცემული პასუხები იმაზე, თუ როგორ გადაწყვიტონ მთავარი ამოცანები. და სადაც არ უნდა მოქმედებდნენ ისინი, ყოველ პარტჯგუფსა და პარტორგანიზაციას აქვს ასეთი საერთო. მთავარი ამოცანები. საანგარიშო-საარჩევნო კრებებს წითელი ზოლივით უნდა გასდევდეს ზრუნვა მხოლოდ ღირსეულთა ხარჯზე პარტიის რიგების ზრდისათვის, მაღლებულ დადგენილებათა დროული შემოწმებისათვის, პარტიულ დავალებათა სწორი განაწილებისათვის და შინაპარტიული მუშაობის სხვა საკითხებისათვის.

კრებებზე დიდი ადგილი უნდა დაეთმოს იმ ამოცანებს, რომლებიც დასახულია პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“. კომუნისტებმა გაბედულად უნდა ამხილონ ნაკლოვანებანი და ზოგიერთი ფორმალიზმი, რასაც ადგილი აქვს თავიანთ კოლექტივებში სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და მისი საჭიროობის, აგრეთვე შედეგების შეჯამების საქმეში.

პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დაწყება დაემთხვა პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლის დაწყებას. კრებებზე საქმიანი ანალიზი სჭირდება იდეოლოგიური, აღმზრდელობითი მუშაობის მთელ ღონისძიებებს: რა ფორმებმა და მეთოდებმა გაამართლეს იმედი? მათგან რომელი გამოვიყენოთ მომავალში? როგორ ვუხელმძღვანელოთ პოლიტსკოლებს, სალექციო თუ საგაზეთიანო მუშაობას? განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „შრომელთა ეკონომიური განათლების გაუმჯობესების შესახებ“ პრაქტიკულად განხორციელებისათვის ზრუნვას.

მაგრამ ამ და სხვა საერთო ამოცანებთან, საერთო საზრუნავთან ერთად თვითეულ პარტიულ ორგანიზაციას აქვს პრობლემებიც. ისინი წარმოების სპეციფიკასთან არის დაკავშირებული და ყოველდღიურ ყურადღებას მოითხოვენ. სამრეწველო საწარმოთა, სამეცნიერო, საპროექტო დაწესებულებებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების კომუნისტებმა თავიანთ კრებებზე უნდა განიხილონ წარმოების ზრდის, ტექნიკური პროგრესის, მომჭირნეობისა და ყაირათიანობის, ხარისხის გაუმჯობესების საკითხები. თავიანთი საპატიო ამოცანები აქვთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებიც იბრძვიან მეტი ჩაისათვის, ეურძნისათვის, მარცვლეულისათვის, მეცხოველეობისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისათვის. საუთარ პრობლემებზე ექნებათ სჯა-ბაასი სავაჭრო თუ სატრანსპორტო, სახელმწიფო დაწესებულებებისა თუ სკოლების კომუნისტებს.

პარტიის XXIV ყრილობამ სკკპ წესდების დებულება ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლების შესახებ გაავრცელა ყველა საპროექტო ორგანიზაციის, საკონსტრუქტორო ბიუროებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, სასწავლებლების, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეურნალო და სხვა დაწესებულებების პირველადს პარტორგანიზაციებზე, რომელთა ადმინისტრაციის ფუნქციები არ სცილდება კოლექტივის ფარგლებს. ბევრმა უკვე შეიძინა ახალ პირობებში მუშაობის ერთგვარი გამოცდილება, რაც საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე ფართოდ უნდა განაზოგადონ.

პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ იქ, სადაც კომუნისტები მეტ აქტივობას და პასუხისმგებლობას გამოიჩენენ, კრებებიც მაღალ იდეურ დონეზე, ორგანიზებულად წარმართება, აქტივობას, საქმიან მსჯელობას, პრინციპული კრიტიკის განვითარებას დიდად უწყობს ხელს საანგარიშო მოხსენება. ზოგადი და არაკრიტიკული ანგარიში ვერ იძლევა კამათისათვის კარგ ტონს, ხელს უშლის იმას, რომ კრებაზე სრულად გამოვლინდეს კოლექტიური აზრი და გამოცდილება. ამიტომ საჭიროა დიდი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ საანგარიშო მოხსენების შედგენას, რაშიც აუცილებელია კომუნისტთა აქტიური მონაწილეობა.

დიდი გულმოდგინება, დაკვირვება და პრინციპულობა სჭირდება აგრეთვე არჩევითი ორგანოს მუშაობის შეფასებას, დახურული, ფარული კენჭისყრით ასარჩევი ახალი კანდიდატურების დასახელებას. მიღწეულ უნდა იქნას, რომ კრებებს, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა, ეხსწრებოდეს ყველა კომუნისტი.

პარტიულ ორგანიზაციებში ანგარიშგება-არჩევნების მაღალ დონეზე მოწყობა მოითხოვს პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მხრივ განსაკუთრებულ ხელმძღვანელობასა და დახმარებას. ისინი ყოველდღიურად უნდა იყონ კრებების მომზადებისა და მიმდინარეობის კურსში, დროულად შენიშნავდნენ ნაკლსა და შეცდომებს და ადგილზევე ასწორებდნენ, უწევდნენ მკაცრ მეთვალყურეობას, რომ არსად მქონდეს ადგილი შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპების დარღვევას.

მთავარი ის არის, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრებები ყველგან გადაიქცეს ამხანაგობის, ორგანიზებულობის, დამსწრეთა მაღალი შეგნებულობის ნიშნად. თვითეული კომუნისტი სწორად უნდა მიუდგეს განვლილი მუშაობის შეფასებას და გამოთქვას საკუთარი მოსაზრებანი, წინადადებები, რაც ხელს შეუწყობს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში თავისი პარტიული ორგანიზაციის აქტიური მონაწილეობას.

მეტი რკინაბეტონი ჩვენს საქმოგლოს!

ქოქაკავშირელთა ინიციატივით

სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულია ხუთწლედის გოლოსათვის დაახლოებით ორნახევარჯერ გადიდდეს რკინაბეტონის წარმოება.

საქართველოს სსრ საშინ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ჰიათურის სამშენებლო მასალათა კომბინატის კოლექტივმა გადაწყვიტა მშენებლობისათვის დეფიციტური 600 მილიმეტრიანი რკინაბეტონის მილების ადგილზე წარმოება. ამ წამოწყების ინიციატორები კომბინატის კომკავშირელები არიან.

ამ სიახლის დანერგვა, წინასწარი გაანგარიშებით კომბინატს 100 ათასი მანეთის ეკონომიას მისცემს.

სურათებზე: ზემოთ — კომბინატის ერთ-ერთი საუკეთესო შემდუღებელი, კომკავშირელი გიზო კაკანაძე; ქვემოთ — მოწინავე მეარმატურე, კომკავშირელი ჯემალ ცერცვაძე.

ფოტო მ. მაჭავარიანისა. (საქდესის ფოტოკორონიკა).

ა. ნ. კოსიგინი ალჟირს გაემგზავრა

ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარის, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ჰუარი ბუმედიენის მიწვევით 4 ოქტომბრის მოსკოვიდან ალჟირს ოფიციალური ვიზიტით გაემგზავრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი. მასთან ერთად გაემგზავრნენ ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ა. მანიუშისი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მ. ი. მისნიკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ს. ბ. კოზირევი, სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკურ საბჭოს ალჟირში მოადგილე მ. რ. კუზმინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. ვ. არხიპოვი.

ვნუკოვოს აეროდრომზე ამხანაგი ა. ნ. კოსიგინი გააცილეს ამხანაგებმა ვ. ვ. გრიშინმა, დ. ს. პოლიანსკიმ, ი. ვ. ანდროპოვმა, მ. ს. ხოლომენცევმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საკდესი).

ა. ა. გრომიკო მოსკოვში დაბრუნდა

8 ოქტომბერს მოსკოვში დაბრუნდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, რომელიც მეთაურობდა სსრ კავშირის დელეგაციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXVI სესიაზე. (საკდესი).

რუსთაველის თეატრის სპექტაკლის „ედიპეს“ წარმატება

ფან ანუის პიესის „მიდეას“ პრემიერით გახსნა თავისი საიუბილეო, 50-ი სეზონი რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა. სპექტაკლი დადგა რეჟისორმა რ. სტურუამ, მხატვარი — თ. სუმბათაშვილი. სპექტაკლში მონაწილეობდნენ საქართველოს სახალხო არტისტი ე. მაღლაფერიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ზ. კვერნენჩხილაძე და გ. სადარაძე, მსახიობები მ. მაღლაკელიძე, მ. ჭანაია, გ. მატარაძე, დ. ჩხიკვაძე, დ. ჯვარცხავა.

მაყურებლებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს თვალსაჩინო საყვარელი თეატრის ახალი ნამუშევრისადმი. ხალხით გაჭედილი დარბაზი დიდხანს უარავდა რაშს სიხარულ ოსტატებს, რომლებმაც შესანიშნავად გადმოსცეს ძველი ბერძენი დრამატურგის მიერ შექმნილი სახეები. განსაკუთრებული წარმატება ხვდა მთავარი როლის შემსრულებელს ზ. კვერნენჩხილაძეს.

3 ოქტომბერს სპექტაკლი „მიდეას“ დაესწრნენ ვ. მუკანაძე, შ. ჭანუკვაძე, ნ. ცხაკაია, შ. კიკნაძე, რ. მეტრეველი, თ. მოსაშვილი.

რუსთაველის თეატრის ანსამბლი სპექტაკლმა დიდი წარმატებით ჩაიარა. (საქდესი).

ბრაზილიის ხალხი ბრაზილიელ ფაშისტებს ებრძვის

ბრაზილია. (ტასი). ბრაზილიელ ფაშისტებს ებრძვიან ბრაზილიელ ხალხი. ბრაზილიის ბევრ ქალაქში ხალხი ბრძოლა ეცხადა ფაშისტ ბანდიტებს.

საერთოსახელმწიფოებრივი ანგარიშწარმოება

1921 წლის 4 ოქტომბერს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-4 სესიამ დამტკიცა ვ. ი. ლენინის მიერ ხელმოწერილი პროექტი დეკრეტისა სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ და სახელმწიფო ბანკის დებულების პროექტი.

კომუნისტური საზოგადოების აშენების გრანდიოზულ პროგრამაში ვ. ი. ლენინი უდიდეს როლს მიაკუთვნებდა სასაქონლო-ფულადს ურთიერთობას, ბანკებსა და კრედიტს. ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა სოციალისტური საბანკო სისტემის ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები.

სოციალიზმის აშენების საქმეში ბანკის მნიშვნელობას რომ ეხებოდა, იგი აღნიშნავდა, რომ თუ დიდი ბანკები არ იქნა, სოციალიზმი განუხორციელებელი იქნებოდა. დიდი ბანკები ის „სახელმწიფო აპარატია, რომელიც ჩვენთვის საჭიროა სოციალიზმის განხორციელებისათვის“.

1917 წლის დეკემბერში სახელმწიფო ბანკის და მასთან შეერთებული ნაციონალიზებული კერძო ბანკების ბაზაზე შეიქმნა რსფსრ სახალხო ბანკი, რომელიც უმთავრესად ახორციელებდა ნაციონალიზებულ საწარმოთა დაკრედიტებას, ყოველნაირად უჭერდა მათ მხარს.

უცხოთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის პირობებში სამეურნეო და პოლიტიკური ვითარება მოითხოვდა მატერიალური რესურსების მობილიზაციას და ფრონტის დასახმარებლად მატერიალური რესურსების ცენტრალიზაციას სახელმწიფოს ხელში.

უცხოთის ინტერვენციისა და შინაგანი კონტრრევოლუციის განადგურების შემდეგ სამოქალაქო ომისა და უცხოთის ინტერვენციის პერიოდის პოლიტიკა აღარ შეესაბამებოდა სამეურნეო მშენებლობის მოთხოვნებს, რის გამო კომუნისტური პარტია გადავიდა ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე, რომლის ძირითადი პრინციპები ვ. ი. ლენინის მიერ იყო შემუშავებული.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის პერიოდში ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობისათვის საბაზრო ურთიერთობათა, ვაჭრობისა და ფულის მიმოქცევის გამოყენება გვიჯარახებდა განვითარებინა კრედიტი, ფულადი ურთიერთობა და აღგვიდგინა საბანკო სისტემა აუცილებლად შევქმენით სახელმწიფო ბანკი.

საქართველოში 1921-1922 წლების განმავლობაში ნაციონალიზებულ იქნა ყველა სახელმწიფო და კერძო ბანკი.

1921 წლის ივნისიდან განაახლა მუშაობა საქართველოს კოოპერაციულმა ბანკმა, ხოლო ხექტემბერში მუშაობა დაიწყო სახალხო ბანკმა. 1924 წლის მარტში აღნიშნული ბანკების ბაზაზე შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო ბანკი.

1922 წლის სექტემბერში ქ. თბილისში გაიხსნა რსფსრ სახელმწიფო ბანკის კანტორა და შემდეგ მისი ფილიალები რესპუბლიკის დიდ ქალაქებში.

სახელმწიფო ბანკის განვითარების ნახევარი საუკუნის ისტორია — ეს არის პრაქტიკული განხორციელება ლენინური მოძღვრებისა სოციალიზმის დროს ფულის, კრედიტისა და ბანკების როლის შესახებ. სახელმწიფო ბანკი დიდ როლს ასრულებდა პარტიის გენერალური ხაზის განხორციელებაში სოციალისტური საზოგადოების შექმნისა და განვითარების ყველა ეტაპზე. სახელმწიფო ბანკმა უდიდესი მუშაობა გასწია 1922-1924 წლების ფულის რეფორმის გატარებისათვის, რომელმაც განამტკიცა სოციალიზმის პოზიციები.

ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პერიოდში გაიზარდა სახელმწიფო ბანკის როლი დროებით გამოთავისუფლებული სახსრების მობილიზაციის და სოციალისტური რეზერვი მშენებლობის საჭიროებისათვის მათი კრედიტების ფორმით გამოყენებისათვის.

სახელმწიფო ბანკი კრედიტით აქტიურად უწყობდა ხელს სოციალისტური სექტორის განმტკიცებას, იმ ფინანსური რესურსების გადანაწილებას, რომლებიც საჭირო იყო მძიმე ინდუსტრიის დაფინანსებისა და წვრილგლეხური მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის. სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ეფექტურობის მნიშვნელოვან ამაღლებას; შრომის ნაყოფიერების გადიდებას; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას წარმოების მართვის, დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების სრულყოფას კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპის მოთხოვნების შესაბამისად.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი მსოფლიოში უდიდესი ბანკია და დაწესებულებათა ფართოდ განშტოებული ქსელი აქვს.

აშკამად სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში 4.134 სებანკო დაწესებულება და 78.3 ათასზე მეტი შენახველი სალაროა. სახელმწიფო ბანკი მომსახურებას უწევს 568 ათას საწარმოს, დაწესებულებას და ორგანიზაციას, რომლებსაც სახელმწიფო ბანკში გახსნილი აქვთ 4 მილიონ 175 ათასი ანგარიში.

სახელმწიფო ბანკი ქვეყნის არა მარტო საკრედიტო-საანგარიშსწორების და სამისიო ცენტრია, არამედ ის ორგანიზ არის, რომელიც ახორციელებს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო შესრულებას, და საბჭოთა კავშირის ერთიანი საკასო ცენტრიც. დიდია სახელმწიფო ბანკის როლი საერთაშორისო ანგარიშსწორებათა განხორციელებაში. სახელმწიფო ბანკმა საქმით განახორციელა სახელმწიფო სავალუტო მონოპოლიის ლენინური იდეა.

ბანკისა და საკრედიტო ურთიერთობის განვითარება მოკავშირე რესპუბლიკებში მჭიდროდ დაკავშირებულია მთელ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს საკრედიტო სისტემის განვითარებასთან.

საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელმწიფო ბანკის 83 დაწესებულება და 1.316 შემნახველი სალაროა. სახელმწიფო ბანკის დაწესებულებანი ახორციელებენ 38.8 ათასზე მეტი საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის დაკრედიტებას, ანგარიშსწორებას, ხაკასო მომსახურებას და დაფინანსებას, რომლებსაც ბანკში 93,5 ათასზე მეტი ანგარიში აქვთ.

საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის, დამზადებათა და საქონელბრუნვის მოცულობის ზრდის შესაბამისად იზრდებოდა სახელმწიფო ბანკის საკრედიტო დაბანდებებიც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში.

ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარების გრანდიოზული პროგრამა, რაც სკკპ XXIV ყრილობამ დასახა, მოითხოვს იმ კრედიტების უფრო რაციონალურ და ეფექტურ გამოყენებას, რომლებიც სამეურნეო ორგანიზებს ეძლევათ წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვისათვის, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის საჭირო დანახარჯებზე.

მერვე ხუთწლედში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას სახსრებმა 50 მილიარდი მანეთი კრედიტი მისცა.

სახელმწიფო ბანკის კრედიტი დიდ როლს ასრულებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და დამზადების გადიდებაში.

სულ მერვე ხუთწლედში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას მიეცა მოკლევადიანი კრედიტები 5 მილიარდ 850 მილიონი მანეთი.

ბანკმა სერიოზული დახმარება გაუწია კოლმეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებს გრძელვადიანი კრედიტების მიცემით, რომლებზე დავალიანებამაც 1971 წლის 1 იანვრისათვის 235,8 მილიონი მანეთი შეადგინა.

ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXIV ყრილობის მითითებებით, სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ მიმდინარე ხუთწლეულში მათ წინაშე მდგომი ის დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტა, რომ გააუმჯობესონ ანგარიშსწორების ორგანიზაცია და განამტკიცონ საგადამხდელო დისციპლინა მეურნეობაში, იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის პროცესის გეგმაზომიერება, დაიჩქარონ საწარმოებისა და ორგანიზაციების საშუალებათა წრიბრუნვა.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორა და მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულებანი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მთავრობის, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყოველდღიური დახმარებით ადგილებზე ეწეოდნენ საჭირო მუშაობას რესპუბლიკაში ფულის მოქცევის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, საკასო გეგმის საშემოსავლო ნაწილის შესრულების უზრუნველყოფისათვის, ნაღდი ფულის მომჭრელობით ხარჯვისათვის, ემისიის შემცირებისათვის, მოსახლეობის ფულად შემოსავალსა და გასავალს შორის თანაფარდობის გაუმჯობესებისათვის.

უკანასკნელ წლებში საკასო გეგმის საშემოსავლო ნაწილი სისტემატურად სრულდებოდა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მიღწეული შედეგებისა, მერვე ხუთწლედში მოსახლეობის ფულადი შემოსავლის ზრდის ტემპები მოსახლეობის ფულადი ხარჯების ზრდის ტემპებს უსწრებდა.

მეცხრე ხუთწლედის ძირითადი ამოცანის — ხალხის მატერიალური და კულტურული იცხოვრების დონის მნიშვნელოვანი ამაღლების — შესრულების მსვლელობაში ჩვენ საქმე გვაქვს მოსახლეობის ფულადი შემოსავლის მნიშვნელოვან ზრდასთან, საკალო საქონელბრუნვისა და მოსახლეობის ფასიანი მომსახურების მოცულობის ზრდასთან, რაც გამოიწვევს ბანკის სალაროებში ფულის შემოსავლის გადიდებას. აღნიშნული მდგომარეობა დიდ და პასუხსაგებ ამოცანებს აკისრებს სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებს იმ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას მოსახლეობის ფულადი შემოსავლისა და გასავლის თანაფარდობის გაუმჯობესება.

ხუთწლედის მთავარი ამოცანის განხორციელება მოითხოვს ფულის მიმოქცევის სემდგომ ყოველმხრივ განმტკიცებას და საბჭოთა მანეთის სიმტკიცის უზრუნველყოფას. ფულის მიმოქცევის პოზიციიდან უნდა ხორციელდებოდეს დაკრედიტება, დაფინანსება, კაპიტალური დაბანდება, საშემნახველო საქმე და ბანკის სხვა ფუნქციები. ფულის მიმოქცევის დაგეგმვა, მკაფიო ორგანიზაცია და რეგულება საბანკო მუშაობის ფრიად რთული და პასუხსაგები დარგია.

სსრ კავშირის მთელი ისტორიის მანძილზე სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი განამტკიცებდა და ავითარებდა საბანკო საქმის ორგანიზაციის ლენინურ პრინციპებს, როგორიც არის: დემოკრატიული ცენტრალიზმი, ერთიან სახელმწიფო ბანკში ქვეყნის მთელი ფულადი ბრუნვის კონცენტრაცია, მოკლევადიანი დაკრედიტება, სახალხო მეურნეობის საანგარიშსწორებო და საკასო მომსახურება, ბანკის მეშვეობით უნაღდო ანგარიშსწორებათა ფართოდ განვითარება და განსორციელება, საკრედიტო, საანგარიშსწორებო და საკასო ოპერაციების საშუალებით ფულადი წარმოებისა და განაწილებისადმი ეკონომიური კონტროლის ორგანიზაცია.

საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებათა მუშაკები ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენი ქვეყნის 1971-1975 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულების საქმეში.

ვ. ჯინჯიხაძე,
სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველი.

„ადამიანი კოსმოსში“

გაიხსნა საერთაშორისო სიმპოზიუმი

ერევანი, (საკუთარი სპეციალური კორესპონდენტები ლ. მარკელოვა და რ. მელიქ-ბეგიანი). გ. სუნდუკიანის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის შენობაში საზეიმოდ გაიხსნა საერთაშორისო სიმპოზიუმი „ადამიანი კოსმოსში“. პრეზიდიუმში იყვნენ სხვადასხვა ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერები, საზოგადო მოღვაწენი, სსრ კავშირის კოსმონავტი მერრინავები, ორგანის საბჭოთა კავშირის გმირები ვ. ა. შატალოვი და ა. გ. ნიკოლაევი.

მეცნიერთა ახლანდელი შეხვედრა ეძღვნება კოსმოსში საბჭოთა მოქალაქის ი. ა. გაგარინის პირველი გაფრენის ათწლეულის შედეგებს.

ზეიმობენ პედაგოგები

4 ოქტომბერს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

დარბაზში შეიკრიბნენ სახალხო განათლების მუშაკები, საუკეთესო პედაგოგები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომა შეხვალი სიტყვით გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ბუხრაშვილმა.

მოხსენება საქართველოს მასწავლებელთა 80-ათასიანი არმიის საქმიანობის, მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის ამოცანების შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა თ. ლაშქარაველმა.

მასწავლებლებს მიეხალმნენ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. ჯიბლაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის მუშა რ. ჭოკურაშვილი, თბილისის 148-ე საშუალო სკოლის დირექტორი ლ. ხერდიშკი, სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური პრემიის ლაურეატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ი. ვეკუა, კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი თ. ლებელიძე, თბილისის 92-ე საშუალო სკოლის პედაგოგი რ. ჩიბუხჩიანი, პოეტი მ. ფოცხიშვილი, თბილისის პირველი საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე რ. ფანცულაია.

სხდომის მონაწილეებს გულთბილად მიესალმნენ ქალაქის პიონერთა და მოსწავლეთა წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომაში მონაწილეობდნენ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. ლოლაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ხიბრაძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე ი. ჩერქეზიშვილი პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ი. შეკერდანაძე.

დასასრულ საზეიმო სხდომის მონაწილეებმა მოისმინეს ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“. (საქდესი).

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში პირველ ოქტომბერს დაიწყო მეცადინეობა პარტიული განათლების ქსელში. მილიონთა ლენინურ უნივერსიტეტში კომუნისტები და უპარტიოები შეუდგნენ ლენინის თეორიული მემკვიდრეობის, პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების და დოკუმენტების შესწავლას. ქვემოთ ვბეჭდავთ მასალებს ზესტაფონის, თელავისა და დუშეთის რაიონებიდან.

შინაარსი და ქმედითობა

ზ. ვერულაშვილი,
საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი

ჩვენი რაიონის პარტიული ორგანიზაციები კარგად მოემზადნენ პარტიული განათლების სისტემაში მეცადინეობისათვის. ამასთან ყურადღებით გავიფილისწინეთ გასული წლების საპარტიო გამოცდილება, პროპაგანდისტთა და მსმენელთა შენადგენლობა, რომლებიც მიზნად ისახავენ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფას.

პირველი მეცადინეობები შედგა გაცილებით ორგანიზებულად, ვიდრე წინა წლებში. ცხადია, კომუნისტთა თეორიულ სწავლებაში ეს წელი განსაკუთრებით ნაყოფიერი იქნება, რადგან იგი წარიმართება პარტიის XXIV ყრილობის დოკუმენტების და მასალების ღრმად შესწავლის მიზნით. ახალ სასწავლო წელს პოლიტიკური სწავლება უფრო მჭიდროდ დაუკავშირდება ცხოვრებას, კონკრეტული ამოცანების გადაჭრას, შრომითი და საზოგადოებრივი აქტიურობის განვითარებას.

მნიშვნელოვნად განახლებული სასწავლო პროგრამებითა და გეგმებით დავიწყეთ მეცადინეობა პარტიული განათლების ქსელში, რომელშიც წელს ჩაბმულია 5.867 მსმენელი, აქედან კომუნისტი 3.040. ჩვენ შევარჩიეთ 300-ზე მეტი პროპაგანდისტი, რომელთა თეორიული ცოდნის გაღრმავებისათვის გაიტარეთ საკმარო ღონისძიებანი. რა თქმა უნდა ავლენ გავაგრძელებთ მუშაობას პროპაგანდისტთა მეთოდური დახელოვნებისათვის.

რაიონის პირველადს პარტორგანიზაციებთან და მსხვილ საწარმოებთან შექმნილია და მუშაობს 58 დაწყებითი პოლიტსკოლა 1.243 მსმენელით, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების 92 სკოლა — 1.700 მსმენელით, ეკონომიური ცოდნის საფუძვლების შემსწავლელი 36 სკოლა — 500-ზე მეტი მსმენელით, 73 თეორიული სემინარი 1.891 მსმენელით, საქართველოს კომპარტიის ისტორიის შემსწავლელი 11 სკოლა — 215 მსმენელით. მუშაობას შეუდგა ახლად შექმნილი 12 სკოლა, სადაც მსმენელები სპეციალურად კურსით შეისწავლიან სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს. გარდა ამისა, 18 საკონსულტაციო პუნქტში ჩაბმულია 818 მსმენელი.

სკოლებისა და სემინარების პროგრამებში გათვალისწინებულია მსმენელებისათვის ყოველმხრივი დახმარება ისეთი ფუძემდებლური პრობლემების შესწავლაში, როგორიც არის პარტიის როლის გაძლიერება, ახალი ადამიანის • ჩამოყალიბება, წარმოების მართვის სრულყოფა, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში შრომითი კოლექტივების როლის ამაღლება და სხვ.

პარტიის რაიკომი ითვალისწინებს, რომ ახლა მთავარია პარტიული სწავლებისადმი ყოველდღიური ხელმძღვანელობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ღრმად გავუკეთოთ ანალიზი მეცადინეობათა და პროპაგანდისტულ გამოსვლათა ხარისხს, აღვურთეორიულ შინაარსს, განვაზოგადოთ შეძენილი გამოცდილება. გამოვავლინოთ და აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი, უკომპრომისოდ გავიოლშეჭროთ ეუნო შეხედულებებისა და ჩვეულებების წინააღმდეგ.

შინაარსი და ქმედითობა! — აი რა ნიშნით დაიწყო და მიმდინარეობს პარტიული სწავლება ჩვენს რაიონში.

სურათზე: თიანეთის პარტიის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგე ონისე ჯამაგიძე (მარჯვნიდან მეორე) ლიტერატურას ურჩევს პროპაგანდისტებს.

ფოტო ს. თევზაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

უოველდღიური საზრუნავი

მ. ყიკლაური,
პარტიის თელავის რაიკომის პროპაგანდისტი და აგიტატორ[illegible]

სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში ორგანიზებულად დაიწყო. მეცადინეობამ აიღო 152 პოლიტიკური სკოლა და სემინარი, 11 კომუნისტური შრომის სკოლა, 6 სახალხო უნივერსიტეტი, რომლებშიც ჩაბმულია 4.000-მდე კომუნისტი და უპარტიო ამხანაგი.

გარდა ამისა, მეცადინეობა დაიწყო ახლად შექმნილ შვიდ დაწყებით ეკონომიურ სკოლაში და 12 ერთწლიან პოლიტსკოლაში, სადაც მსმენელები გავივლიან სპეციალურ კურსს პარტიის XXIV ყრილობის მასალების შესწავლისათვის. როგორც ცნობილია, კომუნისტებისა და უპარტიო აქტივის იდეურ წრთობას საფუძვლად დაედება ლენინური თეორიული მემკვიდრეობის ღრმად შესწავლა, მსმენელებში მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, თვითეულ მათგანში იმის უნარის გამომუშავება, რომ პრაქტიკულად გამოიყენონ მიღებული ფილოსოფიური ცოდნა.

ბუნებრივია, რომ ახლა ყველგან წინა პლანზე დგას პარტიული სწავლების ხარისხობრივი მხარე, მისი შინაარსისა და ქმედითობის საკითხები. ამ მხრივ პირველი მეცადინეობანი შინაარსიანად ჩატარდა თელავის აბრეშუმის ძაფსასვეტსაგრესი ფაბრიკის, ნაფარეულის მეგვანაურობის საბჭოთა მეურნეობის, სანიორის კოლმეურნეობის, თელავის სამკერვალო ფაბრიკის ამ პოლიტსკოლებში, სადაც პროპაგანდისტები არიან ნ. ლომაანიძე, ალ. მარგალიტაშვილი, ა. ასათიანი და ი. სამადაშვილი.

პარტიის რაიკომი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები ასორგანიზებენ ლონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მსმენელთა მიერ პარტიის XXIV ყრილობის მასალების ღრმად და საფუძვლიანად შესწავლას. ეკონომიური ცოდნის დაუფლებას.

ცოდნის კერა

ა. კობიაშვილი,
პარტიის დუშეთის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგე

ვისაც წიგნი უყვარს, არ შეიძლება არ გაახაროს ჩვენი პოლიტიკური განათლების კაბინეტის ნახვამ: ნათელ ოთახებში ათასობით წიგნია, მაგიდებზე ჟურნალ-გაზეთები და მრავალნაირი ალბომები აწყვია, კედლებს აშშენებს სტენდები, რუკები, დიაგრამები, ახალი ხუთწლედის ამოცანების ამსახველი მასალები, ყოველივე ამით ვეხმარებით პროპაგანდისტებს, აგიტატორებს. წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებს.

ჩვენს რაიონში 100-ზე მეტი პროპაგანდისტი, სემინარის ხელმძღვანელი და კონსულტანტია. ყველამ ორგანიზებულად დაიწყო ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების ქსელში, რომელიც წარიმართება პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების თანმიმდევრული შესწავლის ნიშნით. ამ საქმეში თვალსაჩინო როლს შეასრულებს პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედი სემინარი და მეთოდური საბჭო. სემინარი კვლავ თვეში ერთხელ შეიკრიბება, და იმსჯელებს ყრილობის მასალების შესწავლის მეთოდიკის საკითხებზე. სემინარის პირველმა მეცადინეობამ მაღალ დონეზე ჩაიარა. ნაყოფიერია ავრეთვე მეთოდური საბჭოს საქმიანობა, რომელიც როგორც შარშან, წელსაც განაზოგადებს პროპაგანდისტთა მუშაობის გამოცდილებას.

პირველი მეცადინეობანი მაღალ დონეზე მოაწყეს პროპაგანდისტებმა ე. ლაფანაშვილმა, ვ. ტუმტურიშვილმა, ს. ჩოხელმა, ო. ხინიევამ, მ. მამსარაშვილმა, ფ. მირზიაშვილმა, ა. თანიაშვილმა, შ. მაკავარიანმა, ვ. გუდაშვილმა და სხვებმა, ამაში ჩვენი პარტიული კაბინეტის წვლილიც არის.

ახალ სასწავლო წელს ჩვენი პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამოფენები და სტენდები კვლავ შეიესება ლენინის თეორიული მემკვიდრეობის და პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების ამსახველი მასალებით. ამით უფრო ბეჯითად დავეხმარებით პროპაგანდისტებს, ლექტორებს, პარტიული განათლების ქსელის მსმენელებს, თვითგანათლებაზე მომუშავეებს, რომლებიც ყრილობის მასალებს სწავლობენ და სხვებსაც ასწავლიან.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

ფაქტები სინამდვილეს შეეფერება

რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. ი. რთველიაშვილმა რედაქციას აცნობა:

„ჟურნალ „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 14 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილ მიმოხილვაში — „ცუდს თუ დათესავ, კარგს როგორ მოიმკი“?! აღძრული საკითხები განიხილა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის სხდომამ და დასახა ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

იმ რაიონებში, სადაც თესლის მომზადებაში ჩამორჩენაა, დასახმარებლად სამინისტროსა და თესლის სახელმწიფო ინსპექციის რესპუბლიკური სამმართველოდან გაიგზავნა სპეციალისტები. მოლებულია ზომები, მარცვლის საწმენდ-დამზარისხებელი მანქანების სრული დატვირთვით გამოსაყენებლად, სახელმწიფო რესურსებში დამზადებული ხათესლე მასალის წმენდისა და თესვის მაღალ კონდიციამდე დაჩქარებით ახაყვანად, თესლის დანაკლისის მქონე კოლმეურნეობებზე გასაცემად.

რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო

„კომუნისტის“ 14 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილ წერილი „ცუდს თუ დათესავ, კარგს როგორ მოიმკი“? წერილში მხილებული იყო მეურეობა-მოსამსახურეთათვის მოიწყო კითხვა-პასუხის საღამო, მიძღვნილი სკკპ XXIV ყრილობის მასალების პროპაგანდისადმი.

მეცხრე ხუთწლედის ახალი ამოცანების, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, სოციალისტური შეჯიბრების, მშრომელთა აღზრდისა და სხვა კითხვებზე ამომწურავი პასუხი გასცეს პარტიის რაიონის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ს. მეეუტიშვილმა, რაიონის პროკურორმა ა. მერაბიშვილმა, პირველი შახტის მთავარმა ინჟინერმა ი. ლეონიძემ.

ვ. დემეტრაძე.

● **თიანეთი.** **კოლმეურნეობებსა და სახელმწიფოთა მეურნეობას დიდ დახმარებას უწევს „საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილება. ამის შედეგად რაიონის თორმეტ ფერმაში მოეწყო ნაკელის გასატანი ტრანსპორტიორები, ასეთივე ტრანსპორტიორები ეწყობა კიდევ ხუთ ფერმაში, მეცხოველეობის ექვს ფერმაში მუშაობს პირუტყვის ავტომატური დასარწყულებელი, ბევრგან დამონტაჟებულია და გამართულად მუშაობს ნაკვების დამრეგებელი აპარატი, რაც დიდად ამსუბუქებს კოლმეურნეთა შრომას.**

შ. ნადიბაიძე.

● **თელავი.** ხოფელ ჟოდანში გზის სანაპირზე აშენდა ტყეპარკი დიდ ხმამაღლა ომში დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად. დაირგო წიწვიანი მცენარეები — ნაძვები და ფიჭვები.

ამ კეთილი საქმის ინიციატორია სოფლის პარტიული, კომკავშირული და საკოლმეურნეო აქტივი.

შ. ჯაფაროვი,

● **ძეძა.** **რაიონულ ცენტრში აშენდა და ექსპლოატაციოდ გადაეცა ხუთსართულიანი საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი. კომბინატს აქვს მაბაკაცთა და ქალთა სალონები, რადიოსა და საათების შეკეთებელი სახელოსნოები.**

მ. მაბარაძე.

● **ბგეგეჭკორი.** **კურორტ ლებარდიში ჩაკონმეურ მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ი. კოლოკამ წაიკითხა ლექცია თემაზე: „მეცხრე ხუთწლედი და საქართველოს ელექტროფიკაცია“.**

ბ. ბულუა.

„კომუნისტის“ ფოსტიდან

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲫᲛᲝᲑᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ

(დასასრული).

და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელები.

* * *

ღღესვე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ტონ დიკ თხანგი საპასუხო ვიზიტით ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნისა და საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებს.

შეხვედრებმა, რომლებზეც განიხილეს ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხები, ძმური მეგობრობის, სოლიდარობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა.

ᲰᲐᲜᲝᲘ, 3 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. (საკდ-ის სპეც. კორ.). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა **ტონ დიკ თხანგმა,** ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივმა კომიტეტმა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დღეს საღამოს გამართეს საზეიმო დარბაზობა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

ვიეტნამის მშრომელთა პარტიის, ეროვნული კრების, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და ვიეტნამელი ხალხის სახელით ტონ დიკ თხანგი მხურვალედ მიესალმა 245 მილიონიანი გმირი საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებს.

„ახლა, როცა ვიეტნამელი ხალხის ბრძოლა ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ეროვნული სწნისათვის ძლევამოსილად ვითარდება, საბჭოთა დელეგაციის ვიზიტი დიდი მნიშვნელობის მოვლენაა, ძლავრი აღმფრთოვანებელი ფაქტორია ჩვენი ხალხისათვის, თქვა ტონ დიკ თხანგმა. თანამემამულენი და მთელი ჩვენი ქვეყნის მებრძოლები გეგებებიან თქვენ — ბჭოთა ხალხისადმი, ლენინის სამშობლოსადმი, დიდი ოქტომბრის რევოლუციის სამშობლოსადმი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით.

ვიეტნამელი ხალხი, განაგრძო მან, ოდითგანვე მჭიდროდ არის დაკავშირებული საბჭოთა ხალხთან ერთიანობილური რევოლუციური გრძნობებით, ძმებისა და ამხანაგების მტაცეე საბრძოლო სოლიდარობით, რომელებიც ებრძვიან საერთო მტერს, — იმპერიალიზმს და მის მეთაურს — ამერიკის იმპერიალიზმს, იბრძვიან საერთო იდეალს — სოციალიზმისა და კომუნიზმის წარმატებით აშენების იდეალის განხორციელებისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა და მოძმე საბჭოთა ხალხი დიდ მხარეებლმხრივ და ეფექტიან მატერიალურ დახმარებას, ძლავრ მორალურ და პოლიტიკურ მხარდაჭერას უწევდნენ და უწევენ ვიეტნამელ ხალხს მის სამართლიან ბრძოლაში.

ვიეტნამელ ხალხს, განაცხადა ტონ დიკ თხანგმა, სურს მშვიდობა, მაგრამ მშვიდობა თავისუფლებისა და ნამდვილი დამოუკიდებლობის პირობებში, მშვიდობა ვიეტნამელი ხალხის ძირითად ეროვნულ უფლებათა პატივისცემის საფუძველზე, როგორც ეს დადასტურებულია ჟენევის 1954 წლის შეთანხმებებში.

ვიეტნამელი ხალხის ბრძოლა ამერიკელი აგრესორების წინააღმდეგ, სამშობლოს სწნისათვის, განაცხადა დასასრულ ტონ დიკ თხანგმა, უფეველია, სახელოვანი გამარჯვებით დაგვირგვინდება. ამერიკელი აგრესორების გამანადგურებელი დამარცხება გარდუვალია.

საზეიმო დარბაზობაზე გამოსვლისას, **ნ. ვ. პოდგორნინმ** თქვა, რომ საბჭოთა ადამიანები დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ეკიდებიან ვიეტნამელ კლასობრივ ძმებს. ჩვენ, განაცხადა მან, აღტაცებული ვართ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ვიეტნამელ მებრძოლთა მამაცობისა და გმირობით. ვიზიტიერთ თქვენს რწმენას, რომ ვიეტნამელი ხალხი მთლიანად და საბოლოოდ დაამარცხებს ამერიკელ აგრესორებსა და მათ დამქაშებს.

ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეები ცდილობენ თავიდან აიცილონ თავიანთი ავანტიურის გარდუვალი ჯახი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, თქვა შემდეგ ნ. ვ. პოდგორნიმ. ისინი ისახავენ ნეოკოლონიალისტურ მიზნებს და ფონდიერებრად იმედს ამყარებენ ძალაზე, იარაღის გამოყენებაზე. ვიეტნამელმა გამოაცხადა „გუამის დოკტრინა“, აიღო ეგრეთწოდებული „ვიეტნამიზაციის“ კურსი და (ცხადყოფს, რომ არ სურს მშვიდობა ვიეტნამში სამართლიან საწყისებზე, ვიეტნამელი ხალხის ძირეული ინტერესების გათვალისწინებით. ამერიკის მმართველი წრეები აფერხებენ, არსებითად ფუშავენ პარიზის მოლაპარაკებებს, მიმართავენ სხვადასხვა პოლიტიკურ მანევრს, ჯიუტად უარყოფენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის წინადადებებს. ეს კონსტრუქციული წინადადებანი კი სახავენ კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების რეალურ პერსპექტივას.

ჩვენ, თქვა ნ. ვ. პოდგორნიმ, უკვე არაერთხელ განგვიცხადებია და ახლაც ეს, ვიეტნამის მიწა-წყალზე ყოფნის ჟამს, კვლავ ვადასტურებთ, რომ საბჭოთა კავშირის სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის შვიდპუნქტიანი წინადადებანი მიიჩნევა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მშვიდობის აღდგენის კარგ საფუძვლად და სავსებით უჭერს მხარს მათ. ჩვენ სოლიდარობით ვეკიდებით ვიეტნამელი ხალხის მოთხოვნებს, რომ ამერიკამ დაუყოვნებლივ და მთლიანად გაიყვანოს ჯარები ინდოჩინეთის ტერიტორიიდან, შეწყდეს ყოველგვარი ჩარევა გარეთიდან ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის ხალხთა საქმეებში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და ვიეტნამის მშრომელთა პარტიას, აღნიშნა შემდეგ ნ. ვ. პოდგორნიმ, აკავშირებთ საბრძოლო მეგობრობა. საბჭოთა კომუნისტები დიდად კმაყოფილი არიან, რომ ჩვენი ურთიერთობა ვიეტნამელ კომუნისტებთან ვითარდება და მტკიცდება.

ჩვენ, ამხანაგებო, თქვა მან, გვაქვს საერთო იდეური დრომა — მარქსიზმ-ლენინიზმი, რომლის სიწმინდეს ვიცავთ და კვლავაც დავიცავთ ყოველგვარი რევიზიონისტური და დოგმატური თავდასხმისა და დამახინჯებისაგან. ჩვენ განუხრელად ერთგული ვართ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპისა, რომლის მტკიცე ქომაგი და დამცველი იყო დიდი პატრიოტი და ინტერნაციონალისტი ხო ში-მინი. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ჩვენი მოძმე პარტიების პრინციპული პოლიტიკა საფუძველად უდევს ჩვენი ხალხების მეგობრობას, ხელს უწყობს მის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას.

ნ. ვ. პოდგორნიმ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი და ეს, არის და იქნება მებრძოლ ვიეტნამთან, მის მამაც ხალხთან ერთად, რომელიც მართებულად დგას ინდოჩინეთის ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდში. საბჭოთა ადამიანები ყოველმხრივ მხარს უჭერენდნენ და კვლავაც დაუჭერენ მხარს ვიეტნამელ ხალხს მისი ბრძოლის ყველა ფრონტზე — სამხედრო, პოლიტიკურ, დიპლომატიურ ფრონტებზე, ყველა მის საქმეში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, — სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში სოციალიზმის ფორპოსტის განსამტკიცებლად.

თავისი სიტყვის დასასრულს ნ. ვ. პოდგორნიმ გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ეს ვიზიტი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

ᲰᲐᲜᲝᲘ, 4 ოქტომბერი, (საკდ-ის სპეც. კორ.). ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მეგობრობა ვიზიტად მყოფმა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. ვ. პოდგორნის** (დელეგაციის მეთაური), სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **კ. ტ. მაზუროვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **კ. თ. კატუშევი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. ნ. სოფიკოვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო-ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ა. სკაჩკოვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე არმიის გენერალი **ს. ლ. სოკოლოვი,** სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **ნ. ვ. ფარიუბინი,** სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე **ი. ტ. გრიშინი,** სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, სსრ კავშირის ელჩი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში **ი. ს. შჩერბაკოვი.**

ვიეტნამის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობენ ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ლე ზუანი,** ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე **ჩიონგ ტინი,** ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი **ფამ ვან დონგი,** ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ჯ. ტ. მაზუროვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **კ. თ. კატუშევი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. ნ. სოფიკოვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო-ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ა. სკაჩკოვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე არმიის გენერალი **ს. ლ. სოკოლოვი,** სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **ნ. ვ. ფარიუბინი,** სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე **ი. ტ. გრიშინი,** სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, სსრ კავშირის ელჩი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში **ი. ს. შჩერბაკოვი.**

ვიეტნამის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობენ ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ლე ზუანი,** ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე **ჩიონგ ტინი,** ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი **ფამ ვან დონგი,** ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ვო ნგუენ ზიაპი,** ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე **ლე თხან ნგი,** ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი **ფამ ვან დონგი,** ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ნგუენ ლამი,** ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში **ნგუენ თხი ნანი.**

მოლაპარაკება მიმდინარეობდა ძმობის, ერთიანობისა და სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით.

მოლაპარაკება გაგრძელდება.

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲖᲣᲚᲘ

ფოტო მკრბრმკტისა (გდრ).

ᲛᲔᲡᲘᲯᲘ

● **მთავრდება უნგრეთის ერთ-ერთი უდიდესი იური გაგარინის სახელობის თბილელექტროსადგურის „შუნებლობა ვიშონტაში. ახალი თბოელექტროსადგური შეხდება საბჭოთა კავშირის ტექნიკური დახმარებით. ხუთივე ტურბინის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ სადგური ქვეყანას მისცემს ხუთ მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას წელიწადში.**

● **კომუნისტი დ. ვერდელანი კვლავ აირჩიეს გენერალურ მრჩევლად საფრანგეთის აღმოსავლეთ ალესის კანტონში (გარის დეპარტამენტი) მოწყობილი ნაწილობრივი არჩევნების შედეგად. უკვე პირველ ტურში მან ხმის აბსოლუტური უმრავლესობა მიიღო.**

● **ჩრდილოეთ ირლანდიის ქალაქებში გრძელდება შეტაკებანი „უშიშროების“ დამსჯელ ძალებსა და მოსახლეობას შორის. წუხელ ინგლისის ჯარებმა გამოიყენეს რეზინის ტყვიები „სა-ეს“ გაზი ბელფასტის ფოლზო

ლენინგორი

ბეჭდავს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

ი. თედიაშვილი

შენდება სკოლა-ინტერნატი

რაიონული ცენტრის სამხრეთით, ქსნის მარცხენა ნაპირზე აღმართულა ხარაჩოები. შორიდანვე ეგრძნობა, რომ აქ დიდი ობიექტი შენდება.

დიახ, წელს დაიწყო და მომავალ წელს დამთავრდება ლენინგორის სკოლა-ინტერნატის მშენებლობა. მას ექნება სასწავლო და საძინებელი კორპუსები, სასადილო, სახპოტრტ დარბაზი, ლაბორატორიები და სხვა დამხმარე ნაგებობანი.

სკოლა-ინტერნატის მშენებლობას აწარმოებს მცხეთის № 5 სამშენებლო სამმართველო.

აგიტმხატვრული ბრიგადა მთაში

ცხვარი ზაფხულის იალაღებზე ბალახობს მთაში, მალე თეთრი ქართველი ქალი შორეულ ზზას გაუდგება ასპიისპირეთისაკენ. ამისათვის მზადება უკვე დაიწყო. იპარსება ცხვარი, მწყემსები იმარაგებენ თბილ ტანსაცმელს და ა. შ. მზადების პირიდან მეცხვარეებთან ხშირად იმყოფებიან ლენინგორის კულტურის სახლთან არსებული მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივები (მხატვრული ხელმძღვანელი ი. დურგლიშვილი). მათ უკვე გამართეს კონცერტები დადიანეთის, ბალაანის კოლმეურნეობათა საძოვრებზე.

ნაპირგამაგრება

ხშირად, განსაკუთრებით გაზაფხულობით, აბობოქრებული ქსანი საფრთხეს უქმნის ხოლმე რაიონულ ენტრს. წყალდიდობა უფრო საშიში გახდა მას შემდეგ, რაც აშენდა ახალი ხიდი, რამაც დატბორა მდინარის ნაწილი.

გადაწყდა აშენდეს საკრდენი კედელი, რომლის სიგრძე ერთ კილომეტრამდე იქნება. მშენებლობას უკვე შეუდგა ლენინგორის კომუნალურ საწარმოთა კომბინატი. ამ ნაგებობით არა მარტო იქნება უსაფრთხოება წყალდიდობის დროს, არამედ რაიონულ ენტრსაც საშუალება აძლევს წყალს გამოსტაციოს მიწის დიდი ფართობი, რომელიც გამოყენებული იქნება ახალი ჭიჩრების, საკვებურებელი კვარტალების გასაშენებლად.

მოსახლეობის ნასიკეთოდ

ვნიშვნელოვნად გაეუმჯობესა მუშაობა რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ. რაიონულ ენტრში შენდება ახალი ბანო. მალე დამთავრდება საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის შენობის აგება. სადაც მოთავსდება ფეხსაცმელთა შეკერვი და შემკეთებელი სახელოსნოები, სპარიკმახერეები, აგრეთვე მოწყობა ელექტრომოწყობილობის რემონტი. ახლახან კომბინატმა ჩამოაყალიბა საამქრო, სადაც ამზადებენ სამშენებლო ბლოკებს, თიხის ჭურჭელს, თუნუქის ღუმელებს.

ლარგვისში სკოლა შენდება

სოფელ ლარგვისს აქ მეცხვარეთა ენტრს უწოდებენ. ბევრი მეცხვარე ცხოვრობს ლარგვისსა და მის ახლომახლო სოფლებში. მაგრამ საშუალო სკოლას შენობა არ ქონდა. გადაწყდა ახალი სასკოლო შენობის აგება. ეს წადილიც აუხორციელებთ ლარგვისელებს. მომავალ წელს სოფელი მიიღებს ახალ სასკოლო შენობას 480 მოსწავლისათვის. მისი მშენებლობა გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობს.

კავშირგაბმულობის სახლი

მალე ლენინგორელები კიდევ ერთ ხაჩუქარს მიიღებენ. მწყობრში ჩადგება კავშირგაბმულობის ახალი რაიონული სახლი, რომელიც დაამშვენებს ლენინგორის ენტრს. მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. ვარაუდობენ, რომ კავშირგაბმულობის კვანძი წლის ბოლოსათვის ამუშავდება.

სურათზე: ლენინგორის კულტურის სახლის შენობა. ფოტო მ. ალბოროვისა.

ხელოვნების კმაგები

ევროპის გზებზე

კობა გურულის ნამუშევრებს ეცნობიან უნგრელები

მკითხველის ქალვით

აბაშის კულტურის სახლში კონცერტი გამართა ამერიკაკავკასიის რკინიგზის ნათოლუღის კვანძის კულტურის სახლთან არსებულმა ვოკალურ-ინსტრუმენტალმა ანსამბლმა „აბარარამ" (მხატვრული ხელმძღვანელი ჯ. ციქურიშვილი).

მაყურებელთა მოწონება ხვდა ახალგაზრდა სოლისტებისა და მოცეკვავეების წ. თოფურიას, თ. პაპაიაშვილის, ვ. ენონიძის, ჯ. ლეკიაშვილის, ქ. თოფურიას, ლ. პეტროსიანეს, თ. მსუქნიშვილის მიერ შესრულებულ სიმღერებსა და ცეკვებს.

ივ. თოფურია.

ბორჯომის რაიონის გუჯარეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობას უწვია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „სიდი" (მხატვრული ხელმძღვანელი მ. შალოხოფი. ქორეოგრაფი საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ხ. გაგლოევი). მაყურებელს მოეწონა ოსური სიმღერები და ცეკვები, აგრეთვე კომპოზიცია „ალაანი".

დ. ჯიბაკაევი.

ონის კინოთეატრში მოეწყო კინოფესტივალი, რომელიც მიეძღვნა საქართველოს კომპოზიტორის 50 წლისთავის იუბილეს. მაყურებელმა ნახა კინოსურათები „ზოსია", „შინი თანამეგზავრი", „ზოია რუხაძე", „ალი ბუნიკრისა".

ნ. დუბუაშვილი.

მეშახტემა ქალაქ ტყვარჩელის მშრომელები საშეფო დახმარებას უწევენ მეზობელი რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებს. ამას წინათ ტყვარჩელის სახალხო თეატრმა სოფელ აიუბიდის ტუნელის საბჭოთა მეურნეობაში წარმოადგინა ა. ეგაღარლის „ხანუმა".

მ. ბოგუა.

სურათებზე: (მარცხნივ) კობა გურულის გამოფენის კატალოგი; გამოფენის ერთ-ერთი ექსპონატი „თამარ მეფე".

გამოფენა საზეიმო კითარებაში გაიხსნა, მოწვეული იყვნენ საზოგადოების აქტივისტები, დედაქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები, მხატვრები, მწერლები, ხელოვნებათმცოდნეები. გახსნას დაესწრო საბჭოთა კავშირის ელჩი უნგრეთში პავლოვი.

უნგრეთში ყოფნისას მეგობრობის საზოგადოებამ მოგვიწყო შეხვედრები თავის კოლექტიურ წევრებთან, უნგრელ ხელოვნებთან. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ევროპაში და, რასაკვირველია, უნგრეთში თანამედროვე მხატვრები დიდ ყურადღებას აქცევენ ეროვნული ტრადიციების აღორძინებას, თვით უკიდურესი ექსპერიმენტისტებიც კი ცდილობენ თავიანთ ნამუშევრებში დაიცვან ეროვნული სტილი. ამდენად გამოფენისადმი ინტერესი დიდი იყო.

უნგრეთში ერთი სიუჟეტიანი მელოდია. ბუდაპეშტში დავთვალიერე მსოფლიო სამონადირეო გამოფენა, სადაც ხხვა მრავალ ექსპონატს შორის არის ჩემი ჭედურობა „ესროლა ბერმა პაპამ".

უნგრული პრესა მაღალ შეფასებას აძლევს ქართველი ლითონმჭედელის ხელოვნებას. აი რას წერს ცნობილი უნგრული მწერალი მიხაი გერგ�ე ჟურნალ „ურსაბ-ვილაგში" გამოქვეყნებულ წერილში „სპილენძის შუაცლის პოეტი". „ეს, რასაც კობა გურული ქმნის, ბრა გამოყენებითი და არც დეკორატიული ხელოვნებაა. მისი ყოველი ნამუშევარი ორიგინალური ქმნილებაა. თუ თქვენ მის ნამუშევრებში ხედავთ ქალების პორტრეტებს, ეს გამოთრება არ გეგონოთ. მხატვრის მიერ მოსმული ხაზებით ისინი სულ სხვადასხვა ხასიათს ქმნიან. კობა გურულს პოეტია, რომელიც აქანდაკებს, ძერწავს, ჭედავს ლითონის ფურცლებზე თავის შეხედულებებს, მისწრაფებებსა და აზრებს".

გამოფენა უნგრეთში ერთ თვის განმავლობაში.

ლ. ხუბულური.

ჭადრაკი

ვ. ბოგლიუბოვის ექვეოლრიანი

ხვალ თბილისში იხსნება საერთაშორისო ტურნირი

ორი წლის წინ დამყარდა კარგი ტრადიცია — ეწყობა გამოჩენილი ქართველი მოჭადრაკის ვიქტორ გოგლიძის მემორიალი. პირველი ასეთ მემორიალში პირველადმეორე ადგილები გაიყვეს რიგიანმა მსოფლიოს ექსჩემპიონმა მ. ტალმა და ბ. გურგენიძემ, რომელსაც ამ წარმატებებისათვის საერთაშორისო გროსმაისტერის წოდება მიენიჭა.

და აი ხვალ თბილისში იხსნება ვ. გოგლიძის მეორე მემორიალი ცნობილ მოჭადრაკეთა მონაწილეობით. შეჯიბრებაში ჩაებმებიან საერთაშორისო ოსტატები—უკანასკნელი საზონათაშორისო ტურნირის მონაწილე უიტუმენი (მონღოლეთი, მან ბალმა-დემალორკაში არაერთი ცნობილი გროსმაისტერი დაამარცხა), ბედნარსკი (პოლონეთი), პშიბილი (ჩეხოსლოვაკია), უნგრელები ნაგაროვსკი და ფერენც პორტაში (სახელოვანი გროსმაისტერის ლაიოშ პორტაშის უმცროსი ძმა), ბულგარელი ოსტატი რადევი და ახალგაზრდა მოლანდიელი ტიმანი. თბილისში ითამაშებს ერთ-ერთი უძლიერესი ოსტატი რუმინეთიდან.

შეჯიბრებაში ჩაებმებიან საქართველოს უძლიერესი მოჭადრაკეებიც — გროსმაისტერების გურგენიძისა და გუფელდის ხელმძღვანელობით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ერთი საინტერესო რამ. ამჯერად ვაუთა შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი და მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი ნანა ალექსანდრია.

ვ. გოგლიძის მემორიალი ოქტომბრის მიწურულამდე გასტანს.

ახლოვდება ფინიში

ლენინგრადი. („კომუნისტის" კორ.). ჭაბასკნელმა ორმა ტურმა საკრძნობლად შეიცვალა მონაწილეთა მდგომარეობა.

მეთორმეტე ტურში - დიდი ნნიშვნელობა ჰქონდა ე. გელერ-დ. ბრონშტეინის შეხვედრას. თანაბარ პოზიციაში გელერმა გადაალა მოფიქრებისათვის განკუთვნილი დროს და წაგება ჩაითვალა. ამის შემდეგ დაუმარცხებელი დარჩა მხოლოდ ორი მონაწილე — ვ. სავონი და ვ. სმისლოვი. ი. პლატონოვმა სძლია ნ. კროგიუსს, ჯ. გრიგორიანმა — ი. ნიკოლაევსკის, რ. ვაჰანიანმა — ლ. შამკოვიჩს, ა. ლეინმა — მ. ციეტლინს. ყაიმზე შეთანხმდნენ ვ. სმისლოვი-ვ. სავონი, ა. კარპოვი-ვ. კარასიოვი და მ. ტალმანოვ-ვ. ტუმაკოვი. დანარჩენი პარტიები გადადგა.

მეცამეტე ტურში ვ. სავონმა მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა რ. ჯინჯიხაშვილთან და ისევ მოეცა სათავეში სატურნირო ცხრილს (მ. ტალმა გადადო პარტია მ. ტამანოვთან). ლ. შამკოვიჩმა მოუგო ა. ლეინს, ვ. ტუმაკოვმა — რ. ვაჰანიანს. ყაიმზე შეთანხმდნენ ნ. კროგიუს-კ. გრიგორიანი, ი. ნიკოლაევსკი-ე. გელერი, დ. ბრონშტეინ-ა. კარპოვი, ვ. კარასიოვ-ლ. შტეინი და ა. კაპენგაუტ-ვ. სმისლოვი. დანარჩენი პარტიები გადადგა.

გადადებული პარტიების დიდი რაოდენობის გამო საჭურნირო მდგომარეობა ფრიად ბუნდოვანია. მაგალითად, რ. ჯინჯიხაშვილს 3 გადადებული პარტია აქვს.

ლევიტინა— პირველი ლიდერი

სოფი. („კომ". სპეც. კორ.). 20 ცნობილი მოჭადრაკე მონაწილეობს ქალთა 31-ე საკავშირო ჩემპიონატში.

ეი ტურნირის შემადგენლობა: საერთაშორისო ოსტატები ტ. ბატულოვსკაია (ბაქო), მ. რანიკუ (ტალინი), ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი), ნ. კოზლოვლოვა, ვ. რუბცოვა (ორივე მოსკოვიდან), რ. ბილუნოვა, კ. სკეგინა (ორივე მოსკოვის ოლქიდან), ა. კისლოვა (ომსკი), ოსტატები ლ. ბელავენიკი, ნ. ტიტორენკო (მოსკოვი), ც. კობაიძე, ე. კაკაბაძე (თბილისი), მ. შული (ლვოვი), ლ. სემონოვა (კიევი), ა. მკრტჩიანი (ტაშკენტი), ოსტატობის კანდიდატები — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გოგონათა შორის ტ. ფომინა (ტალინი), ე. ბალაშოვა (მოსკოვი), ი. სპიკაკი (კიევი), ი. ლევიტინა (ლენინგრადი) და ა. საყოვა (ბაქო).

ესოდენ ძლიერ ტურნირს ახლა, ორი ტურის შემდეგ, ლიდერობს არა რომელიმე ფავორიტი, არამედ სრულიად ახალგაზრდა მონაწილე **ირინე ლევიტინა.** მან ორი გამარჯვება იზეიმა.

კობაიძემ პირველ ტურში ყაიდით დაამთავრა შეხვედრა ე. რუბცოვასთან, მეორე პარტია კი გადადო. კაკაბაძემ პირველ ტურში წაგო სპიკაკასთან, ხოლო მეორე ტურში მოუგო ე. რუბცოვას.

ქალთა საკავშირო ჩემპიონატი დიდ ინტერესს იწვევს.

პირველ ადგილზე

საბჭოთა ველოსიპედისტებმა გამარჯვეს „ბულგარეთის ტურში". შეჯიბრების ოცივე ეტაპი მათ გაიარეს 105 საათსა 10 წუთსა და 2 წამში. გამარჯვებულებმა მომდევნო ადგილზე გამოსულ პოლონეთის გუნდს სამ წუთზე მეტით აჯობეს. პირველ ადგილზე პირად ჩათვლაში გამოვიდა სახელგანთქმული პოლონელი ველოსიპედისტი რიშარდ შურკოვსკი. საბჭოთა სპორტსმენებიდან ყველაზე უკეთესი დრო აჩვენა მეხუთე ადგილზე გამოსულმა ოსსკელმა ვლადიმერ სოკოლოვმა.

რეკორდების „ნვიმა"

საბჭოთა ძალოსნებმა პერუს დედაქალაქ ლიმის მსოფლიო ფიცარნაგზე ტრიუმფალური გამოსვლის შემდეგ მთელი რიგი შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს სხვადასხვა შეჯიბრებებში. განსაკუთრებით უხვი აღმოჩნდა რეკორდების მხრივ ვოროშილოვგრადში გამართული ახპარაზობა პროფკავშირების თასზე. აქ რამდენიმე მსოფლიო რეკორდი განახლდა.

უმჩატესი წონის შტანგისტმა ლევონელმა ადამ განატოვმა ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — აჯიმა 115,5 და აკრა 130,5 კილოგრამი. შემდეგ დონეკიკლმა ქვიმსუბუქი წონის ათლეტმა იური გოლუბცოვმა ისახელა თავი — 115 კილოგრამი აკრა და მსოფლიო რეკორდი გაუმჯობესა. და ბოლოს ალმაატელების მსუბუქი წონის ვლადიმერ დრეკსლერისა და ნახევარძალაშუალო წონის ალექსანდრე კოლოდეკოვის ჯერიც დადგა — პირველმა მსოფლიო რეკორდი აჯიმაში 153 კილოგრამამდე აიყვანა, ხოლო მეორემ 163,5 კილოგრამამდე.

ალაკი დაუშვეს

ფინიში იკოდრომზე

შაბათსა და კვირას თბილისის იპოდრომზე ფინიში ჰქონდათ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ცხენსაშენების მხედართა XIV სრულიად საკავშირო შეჯიბრების მონაწილე ცხენსნებს.

გათამაშდა უკანასკნელი პრიზები, ჯილდოები, რომელთა უმრავლესობა ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ იყო დაწესებული.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა სახელობის პრიზი 2400 მეტრ დისტანციაზე დოღში მოიგო რუსეთის გუნდის წარმომადგენელმა ბ. სიჟეევმა (ულაყი „ფატა"). მან ეს მანძილი დაფარა 2 წუთსა და 35,9 წამში. რუსეთისავე გუნდის წევრმა მხედარმა ქალმა ტ. ვალეევამ მოიგო **გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზი.**

საქართველოს სს რესპუბლიკის სახელობის პრიზი 2400 მეტრ დისტანციაზე მოიპოვა ყირგიზეთმა ი. კოეემაროვმა (ულაყი „ევროპალნი"), დრო — 2 წუთი და 32,3 წამი. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი, ზუგდიდელი ი. ნინავა ამ დისტანციაზე მეორე იყო.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრიზზე 3200 მეტრ დისტანციაზე პირველი იყო უკრაინელი ნ. დანილოვი („ოლაანტა"). მოსმა თანაგუნდელმა ვ. ბალაბასმა („ოგაოკა") მოიგო **ხალხთა მეგობრობის პრიზი.**

მაყურებელთა ინტერესი გამოიწვია დოღმა მთიდან დაშვებით. **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზი** ამ სახეობაში მოიპოვა დუშელმა ტარიელ არაბულმა (ცხენი „შვინდა").

გმირ ქალაქ სევასტოპოლის სახელობის პრიზზე 4000 მეტრ დისტანციაზე პირველი იყო რსფსრ-ის წარმომადგენელი ი. ზატულა, რომელმაც დისტანცია დაფარა 2 წუთსა და 32 წამში. მას ეს მანძილი ჰქონდა ჩამორჩა მისივე თანაგუნდელი მხედარი ქალი ს. სოტნიკოვა (ულაყი „ეგოისტი").

დაძაბული იყო ბრძოლა **თბილისის სახელობის პრიზზე** „სტიპლ-ჩეზში". აქ იმარჯვა რუსეთის გუნდის წევრმა ვ. ტაგიევმა, რომელმაც თავისი ულაყით („სვდანი") 4.800 მეტრი დისტანცია გაიარა 6 წუთსა და 29,6 წამში.

რბოლაში **გმირ ქალაქ ლენინგრადის პრიზი** მოიგო უკრაინელმა ი. დოლიმ (ულაყი „ბორეცი"), დრო — 2 წუთი 11,8 წამი.

რუსული სამცხენო ეტლების შეჯიბრებაში **ქალაქ მინსკის პრიზი** მოიპოვა ლენინგრადის ცხენსაშენის სამცხენოსნებმა, ხოლო **გმირ ქალაქ კიევის პრიზი** — ოდესის იპოდრომის სამცხენოსნებმა.

შეჯამდა შედეგები **ეროვნულ თამაშობებში.** საქართველოს მხედრებმა იმარჯვეს „ისინდში", ცხენბურთსა და სომხურ „ნიზაკინტუმში" (გაკეთებული ცხენით მხედრის მიერ შებითა და ხელყუმბარით სამიზნეების დაზიანება), ტაჯიკმა მხედრებმა „ჩოგანსა" და „კოკ-პარში" (გაკეთებული ცხენებით თხის წართმევა), ხოლო ყაზახებმა „სიფრაპაპაში".

ასპარეზობის დასასრულს გამარჯვებულ სპორტსმენებსა და გუნდებს პრიზები და ჯილდოები გადასცა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხენეობისა და ცხენსაშენების მთავარი სამმართველოს უფროსმა ა. მარტინენკომ.

ამრიგად, დასრულდა ეს საინტერესო შასობრივი შეჯიბრება. ჩვენი ქვეყნის სპორტსმენმა ცხენოსნებმა სამშობლოს უპატაკის კარგი მომზადება და ცხენსაშენთა მიღწევების ზრდა.

რ. მუხიგულაშვილი.

• • •

სურათზე: შეჯიბრება „ჩოგანში".

ფოტო ხ. კილაძისა.

დაკარგული ქულა

დინამო. (თბილისი) — **სკა** (როსტოვი) 0:0. თბილისი, 8 ოქტომბერი. „ლოკომოტივის" სტადიონი. მსაჯი ი. ლუკიანოვი (მოსკოვი).

„დინამო" — ტეფანია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ზურცილავა, ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, გაგაშელი, მაჩაიძე, ბუცაევი, ყიფიანი, რეხვიაშვილი.

სკა — ბოიჩენკო, სეროხტანოვი, გეტმანოვი, მოგილნი, აბრამოვი, ანტონოვი, კუჩინსკაია, ეხკოვი, ჩიხლაძე, აფონინი, ჩურკინი.

საკმარისი იყო ბოლო რამდენიმე გამარჯვება, და თბილისის „დინამოს" მორიგ მატჩზე „ლოკომოტივის" სტადიონისაკენ გულშემატკივართა დიდი ნაკადი გაემართა...

თამაშის პირველივე წუთიდან მოწვნაალმდეგეთა მიზნები სავსებით ცხადი გახდა: როსტოველი ფეხბურთელები ერთიანად დაიძრნენ... საკუთარი კარისაკენ, ხოლო მასპინძლებმა ამ „თავაზიანობას", რა თქმა უნდა, სათანადოდ უპასუხეს და მთლიანად შეტევაზე გადავიდნენ. ერთი შეხედვით ამ მარტივ ტაქტიკას თითქოს სტუმართა კართან მწვავე შემთხვევები უნდა განეპირობებინა, მაგრამ (წელს რა ხშირად ვამბობთ ამ „მაგრამს"!) ფეხბურთის ძველმა კანონმა, რომ ტერიტორიული უპირატესობა მოგებას არ ნიშნავს, თავი კიდევ ერთხელ გაგვახსენა. საკმარისია ითქვას, რომ როსტოველთა კარის აღებას შესაძლებლობა მთელი თამაშის მანძილზე მხოლოდ ერთხელ წარმოექმნა, გუცაევმა, რომელმაც საერთოდ კარგად ითამაშა, ამ მომენტში ოდნავ დაგვიანა და გარდუვალი გოლიც დაიკარგა.

როსტოველები იშვიათად უტევდნენ, მიუხედავად ამისა სწრაფი კონტრიერიშების დროს თბილელთა ნახევარზე სტუმრებს თავისუფალი ტერიტორია ხედებოდათ და ეს იშვიათი რეიდები საკმაოდ საზიანოთა იყო, თუმცა თბილისელთა კარის აღების რეალური შესაძლებლობა მაინც არ შექმნილა. საბოლოოდ ფრე 0:0.

დაიკარგა ძვირფასი ქულა. დაიკარგა კრიტიკულ მომენტში, აუტსაიდერთან...

ზ. რცხილაძე.

ჩემპიონატის ფინიშთან

კვირას ჩვენი ქვეყნის პირველობაზე თბილისის გარდა კიდევ ოთხი მატჩი გაიმართა.

ყურადღებას იპყრობდა ვერცხლის მედლებისა ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტის ერევნის **„არარატის"** თამაში დონეცკში ადგილობრივ **„შახტიორთან".** ეს ასპარეზობა ერევნელმა ფეხბურთელებმა წააგეს 0:2 და ფინიშზე კიდევ ორი მნიშვნელოვანი ქულა დაკარგეს.

საბრძნოგლად გაიმეორა სატურნირო მდგომარეობა მოსკოვის „სპარტაკმა", რომელმაც მიიღო მინსკის **„დინამო"** და დაამარცხა ანგარიშით 2:0. სპარტაკელები ახლა საპრიზო ადგილებსაც „უმიზნებენ".

ძვირფასი ორი ქულა შეიმატა ლენინგრადის „ზარიამ" — საკუთარ მოედანზე მოიგო ბაქოს **„ნეფტჩის"** — 1:0.

ლენინგრადის „ზენიტმა" ფინიშზე ნამდვილი სენსაცია მოახდინა — სსრ კავშირის ექს-ჩემპიონ ნ ნ **ცსკა-ს** უმარსპინძლა და გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხა — 5:0. ყოფილი ჩემპიონი ფრიად უსუსურად ამთავრებს ჩემპიონატს.

მატჩები, შედეგები

ბაიმარმა მეორე ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდების პირველობის მორიგი ტური. სოხუმის „დინამომ" დაამარცხა ფოთის „ჯოლიდეგი" — 3:1, ბათუმის „დინამოსა" და გორის „დილას", აგრეთვე ტყიბულის „მეშახტისა" და რუსთავის „მეტალურგის" შეხვედრები ფრედ დამთავრდა — 0:0 და 1:1.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (ქ.)	28	17	10	1	40-14	44
„არარატი"	27	11	10	6	30-24	32
„დინამო" (ბ.)	26	9	11	6	33-17	29
„დინამო" (თბ.)	26	11	7	8	27-32	29
„ზარია"	26	9	10	7	25-20	28
„სპარტაკი"	25	7	12	6	29-24	26
„ტორპედო"	25	4	17	4	22-20	25
„ნეფტჩი"	26	8	9	9	27-28	25
„კირატი"	25	8	9	8	30-32	25
ცსკა	29	7	11	11	32-34	25
„კარპატი"	27	5	15	7	28-33	25
„შახტიორი"	27	10	4	13	28-31	24
„ზენიტი"	26	7	9	10	26-28	23
„დინამო" (მნ.)	25	6	9	10	27-36	21
სკა	26	6	7	13	25-37	19
„პაპტაკორი"	24	4	10	10	21-40	18

ფეხბურთის მოედნებზე

სსრ კავშირის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი პოლონეთის შემდეგ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ეწვია. ქალაქ ვაისენფელსში გერმანელ ჭაბუკთა ნაკრებთან ასპარეზობაში გამარჯვეს მასპინძლებმა — 3:0.

□

მოსკოვის ცსკა-სა და „სპარტაკის" მეტოქენი ევროპის ტრადიციული თასების გათამაშებაში წარმატებით გამოდიან თავიანთი ქვეყნების ჩემპიონსტატუსში. ბელგიის შარშანდელი ჩემპიონი ლიეჟის „სტანდარტი" მეორე-მესამე ადგილს იყოფს რვა ქულით, ლიდერია „ბრიუგე" — 9 ქულა. პორტუგალიის ქალაქ სეტუბალის გუნდს „ვიტორიას" ექვსი ქულა აქვს რვიდან. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნებში ჩემპიონატები ახლახან დაიწყო.

გათამაშების ცხრილი

„ა" კლასის უმაღლესი ჯგუფი

მდგომარეობა 5 ოქტომბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (კ.)	28	17	10	1	40-14	44
„არარატი"	27	11	10	6	30-24	32
„დინამო" (მ.)	26	9	11	6	33-17	29
„დინამო" (თბ.)	26	11	7	8	27-32	29
„ზარია"	26	9	10	7	25-20	28
„სპარტაკი"	25	7	12	6	29-24	26
„ტორპედო"	25	4	17	4	22-20	25
„ნეფტჩი"	26	8	9	9	27-28	25
„კირატი"	25	8	9	8	30-32	25
ცსკა	29	7	11	11	32-34	25
„კარპატი"	27	5	15	7	28-33	25
„შახტიორი"	27	10	4	13	28-31	24
„ზენიტი"	26	7	9	10	26-28	23
„დინამო" (მნ.)	25	6	9	10	27-36	21
სკა	26	6	7	13	25-37	19
„პაპტაკორი"	24	4	10	10	21-40	18

ასპარეზობათა კალენდარი

მძლეოსნობა. აზერბაიჯანის დედაქალაქში ორ დღეს მიმდინარეობდა 26 ბაქოელი ჯიმნასტის ხსოვნის ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება. სატიტი კვარაცხლიანის უმაღლეს საფეხურზე ორჯერ ავიდა მოსკოველი ტატიანა სინეგა— 100 მეტრზე რბენაში — 11,8 წამით, ხოლო 200 მეტრზე — 24,8 წამით. სიმაღლეზე ხტომაში ვალუა შორის პირველი იყო ლენინგრადელი ი. ტარმაკი — 210 სმ. ჯვალაზე შორს — 18 მეტრსა და 06 სანტიმეტრზე ბირთვი კრა მოსკოველმა ანტონინა ივანოვამ. ჭოკით ხტომაში ვიმარჯვა ხარკოველმა გ. ბლიზნეიკოვმა — 4,90 მეტრი. ეროს მეტყორცნელთა შორის კონკურენტი არ ყავდა უნგრელ იშტვან ეცჩს — 68,86 მეტრი. მსოფლიო რეკორდსმენმა ბადრის ტყორცნაში ერევნელმა ფაინა მელნიკმა შედეგით 59,95 მეტრი პირველი ადგილი დაიკავა.

4X200 მეტრზე ამანათრბენში ინგლისელმა სპორტსმენმა ქალებმა, რომლებიც პარიზის „კოლომბის" სტადიონზე გამოდიოდნენ, ახალი მსოფლიო რეკორდი დამყარეს — I წუთი და 33,6 წამი.

ხელბურთი. სსრ კავშირის ნაკრებმა გუნდმა შეორე ადგილი დაიკავა „ბალტიკის თასის" გათამაშებაში, რომელიც დანიის დედაქალაქში დამთავრდა. გადამწყვეტ მატჩში დამატებით დროში მან პირველი პრიზი დაუთმო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებ გუნდს — 18:19.

რედაქტორი

დ. მეედლიშვილი.

სხვა გაზეთებიდან

ფრინველები დროს ზოგავენ

არც თუ დიდი ხნის წინათ ალპებში გაიფანეს ველური ბატები, რომელმაც ერთმანეთს დაუკავშირა იტალია და საფრანგეთი. ახლა ამ საკრანსპორტო ნაგებობით არამარტო ტურისტები, არამედ ფრინველებიც სარგებლობენ. სამხრეთის თბილ ქვეყნებში მიმავალი მერცხლები, ბარეული მტრედები და სხვა ფრინველები ალპს ამოკლებენ და ჯვრებში მოფრინავენ.

შემჩნეულია, რომ ფრინველები, რომლებიც ადრე თავზე უფლიდნენ ალპებს, თავიანთ ძალასა და დროს ზოგავენ იმითაც, რომ ჯვრებში ფრენის დროს სხდებიან ავტობუსების სახურავებზე.

ვ. ა. მეჩიტაშვილი—

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

სსრ კავშირის განმრთელობის დაცვის სამინისტროს იქმნა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის ორთოპედიული სტომატოლოგიის კათედრის გამგემ დოკენტმა **ვლადიმერ** არტემის-ძე მეჩიტაშვილმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„პალეიუმის გავლენა ტბილის ტკივილის მგრძნობელობაზე და ტკივილის პათომექანიზმის ზოგიერთი საკითხი".**

სსრ კავშირის უმაღლესი და სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ვ. ა. მეჩიტაშვილისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

ტელევიზია

5 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

11.05 — ახალი ამბები — (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების პირველი რუსეთის ტელევიზიო ფესტივალი. ქუთაისის ზონა (4 ოქტომბრის გადაცემის გამეორება), 11.55 — ტატელევიზიო ფილმი — „გაქურდეა". (პირველი სერია). 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.35 — მოსწავლეთათვის „ჩვენი სახელოვანი წინაპრები" — ალ. ჭავჭავაძე, 19.05 — „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში", 19.25 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. დოკუმენტური ფილმი „გამოუცხადებელი ომი" — (ქართულ ენაზე), 20.20 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.50 — თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების პირველი რუსეთის რესპუბლიკური სატელევიზიო ფესტივალი — (ქუთაისის ზონა), 21.30 — „ეროვნა" — საინფორმაციო პროგრამა — (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — სატელევიზიო